ვებგვერდზე https://tbcbank.ge/ka/agreements განთავსებული „იურიდიული პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების“ (შემდგომში „ხელშეკრულება“) მე-15 მუხლის შესაბამისად, სს „თიბისი ბანკი“ გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების / დამატებების შეტანას:

1. ხელშეკრულების მე-14 მუხლს დაემატოს 6.2.11 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„14.6.2.11. კლიენტს მკაცრად ეკრძალება პირდაპირ ან ირიბად, ბანკის თანამშრომლებთან/ კონტრაქტორებთან დაკავშირება ბანკისგან დამოუკიდებლად, დასაქმების ან რაიმე ტიპის მომსახურების გაწევის შეთავაზების მიზნით. კლიენტი ადასტურებს, რომ არ მოითხოვს, არ წაიყვანს ბანკის თანამშრომლებს, არ დაასაქმებს და არც შესთავაზებს დასაქმებას. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადაში და აგრეთვე, ხელშეკრულების შეწყვეტიდან არანაკლებ 1 წლის განმავლობაში. ხელშეკრულების აღნიშნული პუნქტის დარღვევის შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება გაუხადოს ბანკს ჯარიმა 10,000 (ათი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით, თითოეულ ასეთ შემთხვევაზე, ბანკის მოთხოვნისთანავე.“

2. წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული ცვლილება ძალაში შედის ამ დოკუმენტის ბანკის ვებგვერდზე განთავსებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში.